

აღიარების შეწყვეტის აღრიცხვა ითვალისწინებს გასული ძირითადი საშუალებების ჩამოწერას და მიღებული ფინანსური შედეგის დადგენას. ჩამოწერით მიღებული შემთხველობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემთხველობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის.

ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ გადაცემის დროს ჩამოიწერება: აქტივი თვითდირებულებით, დაგროვილი ცვეთა, ხოლო გაწეული ხარჯი აღიარდება ზარალად.

თუ მაგალითად, კომპანიამ საქველმოქმედო ორგანიზაციას აჩქა კომპიუტერი, რომლის თვითდირებულებაც 2 500 ლარი იყო, დარიცხული ცვეთის თანხა 700 ლარი, ხოლო ტრანსპორტირების ხარჯმა შეადგინა 150 ლარი, ამ რპერაციით საწარმომ მიიღო ზარალი 1950 ლარის ღირებით. ეს ოპერაცია ბუღალტრულად აისახება:

დ - 2260 - ოფისის აღჭურვილობის ცვეთა - 700

დ - 8290 - სხვა არასაოპერაციო ხარჯები - 150

დ - 8220 - არასაოპერაციო ზარალი - 1800

პ - 2160 - ოფისის აღჭურვილობა - 2500

პ - 1100, 1200 - ფულადი საშუალებების ამსახველი ანგარიშები - 150.

როგორც ვხედავთ, ძირითადი ფონდების მიმრაობასთან დაკავშირებული სამუშაო რპერაციები გარკვეულ გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, რაც ერთობ საყურადღებოა და გასათვალისწინებელია არა მარტო აღრიცხვის დარგის მუშაკების, არამედ საწარმოს მენეჯერებისა და მესაკუთრებებისათვისაც.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. ოფიციალური დოკუმენტები 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

3. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი. ბუღალტრული აღრიცხვა. თბ., 2014.

4. დ. ხოლოდაშვილი, ე. უდესიანი. ბუღალტრული აღრიცხვა. ფინანსური აღრიცხვა. ქუთაისი, 2010.

*Dali Sologashvili*

## THE IMPACT OF OPERATIONS OF THE FIXED ASSETS MOVEMENT ON A COMPANY'S FINANCIAL RESULTS

### Annotation

The article deals with such movement of fixed assets and related transactions, which have a financial impact on the industry's performance. The article deals with some getting and leaving operations, calculation of amortization amount and recognition as expense issues.

Particular attention is paid to deduction of the value of fixed assets from gross income, which is very significant and should be considered not only by accounting sector workers, but also by company managers and owners.

### მიზონ ტემაზე

#### გართვის უზრუნველყოფის მართვაშუალად გაგებისათვის

მართვის ფუნქციებისადმი დაინტერესება დაახლოებით 100 წლის წინათ გამოიკვეთა, მაგრამ, ვფიქრობთ, მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დაზუსტება-სრულყოფას დღესაც საჭიროებს. იგი ეხება მართვის ძირითადი ან საბაზო ფუნქციების განსაზღვრას და მათი ზედმეტად დანაწილებისგან უარის თქმას, ზოგიერთი ფუნქციის არსისა და მნიშვნელობის დაზუსტებას და ა.შ.

აღნიშნული საკითხის სწორად ფორმულირება და გაგება, ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით კი ბაკალავრებისათვის (მაგისტრანტებსა და ლოქტორანტებს), მათი საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე, მეტი შესაძლებლობა აქვთ, თვითონვე დრმად ჩაწერენ საკითხის არსეს), რადგან მართვის აღნიშნული საკითხის განსხვავებული ინტერპრეტაციები მათ დაბრეულობას იწვევს და ხელს უშლის, ამ მხრივ, მყარი ცოდნის ჩამოყალიბებასა და ლოგიკური აზროვნების განვითარებას.

დაგიწყოთ იმით, რომ ავტორთა უმეტესობა იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მართვის ფუნქციები მრავალია, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. სხვადასხვა ავტორის აზრით ის შეიძლება იყოს თოხი, ხეთი, ათი, თხუთმეტი და მეტიც კი. მაგალითად, არმსტრონგი [1], დესსლერი [13], ვესინი [12], პუგაროვი [21] და სხვები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის 23 და მეტ ფუნქციასაც კი ასახელებენ. ისინი ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პროცესის ნებისმიერ შემადგენლელ ელემენტს ფუნქციას უწოდებენ, რაც აღსაქმელად ძალიან ძნელია. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვესინი [12], ამავე დროს, პერსონალის მართვის 8 ძირითად ფუნქციასაც გამოყოფს, ესენია: **დაგეგმვა, ორგანიზაცია, განკარგვა, კოორდინაცია, მოტივაცია, კონტროლი, ინფორმირება და განვითარება** [12, გვ.9].

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ავტორთა დიდი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ შეიძლება მართვის ფუნქციების გამსხვილება და მათი 4-5 ფუნქციის სახით წარმოდგენა (მესენი, ალბერტი, ხედოური, რობინსი, კოულტერი, დაფტი და სხვები), რაც ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია, ვიდრე მართვის ფუნქციების ხედმეტად დანაწევრება. ამიტომ, წინამდებარე სტატიაში ჩვენ მართვის გამსხვილებული სახით წარმოდგენილ ძირითად, საბაზისო ფუნქციებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ცოდნილია, რომ მართვის ფუნქციების (დაგეგმვის, შრომის სტანდარტების აუცილებლობის და ა.შ.) შესახებ მსჯელობა მეცნიერული მენეჯმენტის სკოლის წარმომადგენლებმა დაიწვეს, მაგრამ მართვის

პროცესში განსახორციელებელი ფუნქციები მეტ-ნაკლებად სრულად, პირველად, მართვის კლასიკურმა სკოლამ ჩამოაყალიბდა. ამ საქმეში განსაკუთრებული წელი შეიტანა აღნიშნული სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, მენეჯმენტის მამად აღიარებულმა ანრი ფაიოლმა (1841-1925), რომელიც საფრანგეთში 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამთო-მეტალურგიულ სინდიკატს. მან 1916 წელს გამოაქვეყნა საყურადღებო ნაშრომი - „სამრეწველო საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: განკვრება, ორგანიზაცია, განკარგვა, კორდინაცია, კონტროლი“, რამაც, შეიძლება ითქვას, გარდატეხა შეიტანა მართვის ფუნქციების სამიუკალიბებაში. აღსანიშნავია, რომ ფაიოლი, ზემოხამოთვლილ ფუნქციებში მართვის პროცესის ყველა ასპექტს მოიაზრებდა.

ა. ფაიოლმა, ფ. ტეილორთან, ჟ. ურვითან, მუნთან და სხვა აღიარებულ საეციალისტებთან ერთად, შემდგომშიც გააგრძელა მუშაობა მართვის მეცნიერული თეორიის სხვადასხვა საკითხებე. ამ მხრივ მუშაობა, შეიძლება ითქვას, რომ დღესაც გრძელდება (მაგალითად, ბოლო პერიოდში წინ გადაღმულ ნაბიჯიად უნდა ჩაითვალოს კონტროლინგის, როგორც სისტემური მართვის, თანამედროვე კონცეფციის პრაქტიკული რეალიზაცია, რომლის მიზანი ორგანიზაციების ხანგრძლივადიანი არსებობის უზრუნველყოფა). მიუხედავად იმისა, რომ ფაიოლის ცნობილი ნაშრომის გამოქვეყნებიდან თითქმის 100 წელი გავიდა, მართვის ძირითადი (საბაზო) ფუნქციების შესახებ განსხვავდებული ასრი დღესაც არსებობს. ამაზე მართვის ფუნქციების შესახებ მსოფლიოში აღიარებული მკვლევრების განსხვავდებული მიუთითებს:

- მესკონის, ალბერტისა და ხელოურის მიხედვით, „მართვა არის დაგეგმვის, ორგანიზაციის მოტივაციისა და კონტროლის პროცესი, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის მიზნების მისაღწვევა“ [20, გვ. 38];

- სტივენ რობინზი და მერი კოულეტერი მისწნევები, რომ მენეჯმენტის ფუნქციებია: „დაგეგმვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლ“ [25, გვ. 9];

- რ. დაუტის აზრით, „მენეჯმენტი - ესაა ორგანიზაციის მიზნების ეფექტიანი და მწარმოებლური მიღწვევა დაგეგმვის, ორგანიზაციის, ლიდერობის (ხელმძღვანელობის) და კონტროლის მეშვეობით“ [18, გვ. 34].

მართვის (მენეჯმენტის) საკითხზე ქართულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოების, დამსარე სახელმძღვანელოების თუ ლექციების კურსის გაცნობის შედეგად ნებისმიერი დაინტერესებული საეციალისტი შეიძლება დარწმუნდეს, რომ მათი ავტორების უმრავლესობაზე აშკარა მენეჯმენტის უცხოელი საეციალისტების ნაშრომების გავლენა. მაგალითად, ქართულ ენაზე გამოცემულ მართვის (მენეჯმენტის) სახელმძღვანელოება თუ ლექციების კურსში გადმოცემული ძირითადი საკითხების (მათ შორის მართვის ფუნქციების) შინაარსიდან ნათლად იკვეთება ესა თუ ის ავტორი რომელი უცხოელი საეციალისტის მოსაზრებებს. იზიარებს.

ე. ბარათაშვილი და ლ. თაკალანძე მართვის ფუნქციებს სხვადასხვა ნიშნით ყოფენ. მათი აზრით, არსებობს მართვის ტექნიკური ფუნქცია, ფინანსური ფუნქცია, აღმინისტრაციული ფუნქცია და ა.შ. ადმინისტრაციული ფუნქციებია: დაგეგმვა, კოორდინაცია, სტიმულირება და კონტროლი“ [1, გვ. 140].

შ. მაჭავარიანი მისწნევებს, რომ „მართვის ფუნქციები: „დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი და კოორდინაცია წარმოადგენს მენეჯმენტის საფუძვლების საკანდო თემებს“ [2, გვ. 92];

გ. შიხაშვილის და კ. რუხიძის მოსაზრებით, „მენეჯმენტში ხელმძღვანელობის სისტემა აგებულია მენეჯმენტის ოთხი ფუნქციის საფუძველზე, ესენია: დაგეგმვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლი“ [6, გვ. 7].

გ. ტუღუში და ბ. კირმილიშვილი [5, გვ. 39], გ. შებდლაძე, ბ. მდებრიშვილი და ფ. წოწეოლაური [7, გვ. 46], გ. ხარხელი და გ. ქეშელაშვილი [9, გვ. 37], თ. ხომერიკი [10, გვ. 42] და სხვები მართვას განიხილავნენ, როგორც პროცესს, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული „დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციისა და კონტროლის ფუნქციებისაგან“.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში მართვის ძირითადი (საბაზო) ფუნქციების შესახებ სრული თანხმობა არ არსებობს, მანიც შეიძლება ითქვას, რომ ავტორთა უმრავლესობა შეარს უქერს იმ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით, მართვის (მენეჯმენტის) ფუნქციებია: დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი. მაგრამ, რადგან არსებობს ამ ფუნქციების განსხვავდებული ინტერპრეტაციები (თანაც, მსოფლიოში აღიარებული საეციალისტების მიერ) საჭიროა მათი განხილვა და შეფასება. მართვის (მენეჯმენტის) ძირითადი (საბაზო) ფუნქციების ჩამონათვალიდნა ჩანს, რომ სამი ძირითადი ფუნქცია: „დაგეგმვა“, „ორგანიზაცია“ და „კონტროლი“ ყველა მათგანში ფიურირებს, ერთ-ერთ ფუნქციად კი ზოგიერთ მათგანში მოხსენიებულია „მოტივაცია“ (მესკონი, ალბერტი, ხელოური), ზოგიერთში – „ხელმძღვანელობა“ (რობინზი, კოულეტერი და სხვები), სხვაში (დაუტი) კი „ლიდერობა (ხელმძღვანელობა)“. ამ მხრივ კიდევ უფრო განსხვავდებულია ფაიოლის კლასიფიკაცია, რომელშიც, როგორც აღნიშნეთ, მართვის ფუნქციებად ჩათვლილია „განკვრება“, „განკარგვა“ და „კოორდინაცია“ რაც, ჩვენი აზრით, მეტად საყურადღებოა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაიოლს მართვის ფუნქციების შესახებ ზემოაღნიშნულთან შედარებით რამდენადმე განსხვავდებული განმარტებაც აქვს. კერძოდ, „მართვა ნიშავს დაგეგმვასა და პროგნოზირებას, ორგანიზებასა და გუნდს ხელმძღვანელობას, კოორდინირებასა და კონტროლს“ [17, გვ. 20]. მისი ნაშრომიდან ჩანს, რომ მომავლის „განკვრებაში“ ფაიოლი თეორიის განვითარების დაგეგმვასა და პროგნოზირებას გულისხმობდა. ან, სხვანაირად თუ ვოტივთ, ფაიოლი დაგეგმვას წინასწარგანჭვრების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად განიხილავდა. ამიტომ, არც არის გასაკვირი, რომ, დროთა განმავლობაში, პროგნოზირების ფუნქცია (რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოიკვეთოს მომავლის შესახებ ხედვა და შევაფასოთ განვითარების შესაძლო ვარიანტები) დაგეგმვის ფუნქციასთან გაერთიანდა. ამდენად, ფაიოლის მომავლის „განკვრებას“ „განკარგვას“ და „კოორდინაციას“ რაც, ჩვენი აზრით, მეტად საყურადღებოა.

ფაიოლი მართვის ერთ-ერთ ფუნქციად „გუნდის ხელმძღვანელობას“ მოიაზრებდა. იგი გუნდის წევრების მადალ პროფესიონალიზმს, კარგად კოორდინირებულ საქმიანობას, ურთიერთობანადგომასა და დახმარებას საერთო წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევდა. ამასთან, გუნდის ხელმძღვანელობაში ის „განკარგვის“ ფუნქციას, ანუ მენეჯერების მიერ გაცემული განკარგვულებების, ბრძანებების, მითოებების

ერთობლიობასაც გულისხმობდა, რომელზეც დიდად იყო დამოკიდებული დასახული მიზნების ეფექტიანად განხორციელება. აქვე უნდა შეგნიშვნოთ, რომ მან განსაზღვრა ნებისმიერი ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ მოქმედებათა ექვსი მიმართულება (ტექნიკური, საფინანსო, უსაფრთხოების, სააღრიცხვო და მმართველობითი საქმიანობა), რომელთაგან მმართველობით საქმიანობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

თანამედროვე ორგანიზაციაში არავინ უარყოფს მთელი მენეჯერული საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაციის როლსა და მნიშვნელობას, პირიქით, მას განსაკუთრებული უურადღება უქცევა, მაგრამ მართვის სპეციალისტთა უმრავლესობა მას „ორგანიზების“ ფუნქციაში მოიაზრებს, რასაც ჩვენც ვეთანხმებით და, ვუიქრობთ, ეს საკამათო არ უნდა იყოს.

ვაიოლის მიერ განსაზღვრულ მართვის ფუნქციებში ცალკე გამოყოფილი არ არის „მოტივაციის“ ფუნქცია. მოუხედავად ამისა, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორგანიზაციის მისისა და მიზნების ეფექტიან რეალიზებაში მმართველებისა თუ რიგითი პერსონალის საქმიანობის სტიმულირების დიდი მნიშვნელობა ფაიოლს გააზრებული არ ჰქონდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ ვაიოლის ზემოაღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებამდე, ფ. ტეილორის ნაშრომში „მეცნიერული მენეჯმენტის პრინციპები“ (1911) მოტივაცია მინეულია ადამიანების უმეტესობის მთავარ მამოძრავებელ ძალად, აგრეთვე უურადღება გამახვიდებულია სტიმულირების პროგრამებზე. იგივე შეიძლება ითქვას პ. ემერსონის ნაშრომის „ეფექტიანობის თორმეტი პრინციპის“ (1913) შესახებაც, რომელშიც ეფექტიანი შრომის სტიმულირების საკითხს ჯერვანი უურადღება აქვს დათმობილი. ამდენად, ვაიოლის, თუნდაც აღნიშნული ნაშრომების გავლენით, მართვაში მოტივაციის როლისა და მნიშვნელობის შესახებ სრული წარმოდგენა არ შეიძლება არ ჰქონდა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ის „მოტივაციის“ ცალკე ფუნქციის სახით არ განიხილავდა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოგვიანებით, ვაიოლმა, მის მიერ ჩამოყალიბებულ მართვის პრინციპებში „აერსონალის წახალისება“ ცალკე პრინციპად გამოყო და დასმინა, რომ „ანაზღაურება უნდა ასახავდეს ორგანიზაციის მდგრმარებელსა და ახდენდეს მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობის მაღლების სტიმულირებას“. მოუხედავად ამისა, ვაქტია, რომ „მოტივაციის“ მნიშვნელობის საგრძნობი ამაღლება და მართვის ძირითად (საბაზისო) ფუნქციებში მისი ცალკე ფუნქციად ჩამოყალიბება ფაიოლის შემდგომ პერიოდს უკავშირდება.

რ. დაფტის აზრით, ლიდერობის (ხელმძღვანელობის), როგორც მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუნქციის მნიშვნელობა მუდმივად იზრდება. ლიდერობა (ხელმძღვანელობა) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომუშავებზე, რათა წარმატებით იქნეს რეალიზებული ორგანიზაციის მიზნები. დაფტი ეფექტიან ხელმძღვანელობაში გულისხმობებს ისეთ ვითარებას, როცა „ველა მუშაკი სრულად იზიარებს ორგანიზაციის მიზნებს, ფასეულობებსა და კულტურას, ერთობლივი ეფექტიანი საქმიანობით ცდილობს მიაღწიოს მაღალ შედეგებს“ [18, გვ. 20]. ის თვლის, რომ ასეთ წარმატებებს შეიძლება მიაღწიოს ლიდერის თვისებების მქონე ხელმძღვანელმა, რომლისაც შეუძლია ორგანიზაციის კველა წევრამდე დაიყვანოს ორგანიზაციის მიზნები და შექმნას სტიმულები მათ შესასრულებლად. ის ასეთ ლიდერებად მოიხსენიებს ლი იაკოას, განერალ უ. გრიხს, გ. კელლეგერს და სხვებს, რომლებმაც, ხელქვეთებზე შორმებული გავლენის წყალობით, მკვეთრად აამაღლეს შრომისადმი მოტივაცია [18, გვ. 21]. ამასთან, რ. დაუტე ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს მე-16 თავში დეტალურად განიხილავს მოტივაციის კონცეფციებსა და საფუქვლებს, მოტივაციისადმი ტრადიციულ და თანამედროვე მიღეობებს, შინაარსობრივ და პროცესუალურ თეორიებს და ა.შ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ ის კარგად აცნობიერებს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების რეალიზებაში მოტივაციის როლსა და მნიშვნელობას, თუმცა წარმატების გარანტიად მაინც ლიდერების (ხელმძღვანელების) საქმიანობას თვლის. დაფტი განსაკუთრებულ უურადღებას უთმობს სამუშაო გუნდის ფორმირებისა და ეფექტიან საქმიანობას, უპირველესად კი მათი ხელმძღვანელების მიერ ლიდერის თვისებების გამოვლენას<sup>131</sup>.

ხელმძღვანელობის შესახებ რობიზისა და კოულტერის მოსაზრებები, ძირითადად, ფაიოლისა და მინციტების შეხედულებებს ემყრება. საყიფელთაოდ ცნობილია მინცერგის მოსაზრებები მმართველობითი საქმიანობის სპეციფიკისა და თვისებულებების შესახებ, რომ მან ხანგრძლივი ექსპრიმენტების საფუქველზე სიღრმისეულად შეისწავლა მმართველობითი და არამართველობითი შრომის დამასახიათებელი ინშან-თვისებები და ნაშრომში „მმართველობითი შრომის ბუნება“ (1973) დაასკვნა, რომ მათ შროის არსებითი განსხვავებაა. დღეს, ამ საკითხებს არავინ კასთობს და კველა თანხმება იმაზე, რომ „საამქროს უფროსისა და კომპანიის პრეზიდენტის საქმიანობაში ბეჭრად მეტი საერთოა, ვიდრე საამქროს უფროსისა და მისდამი დაქვემდებარებული პირების შესასრულებელ ფუნქციებში“. იგივე შეიძლება ითქვას ხელმძღვანელის მინცერგისეულ 10 როლზე, რომლებიც მან, სამ მსხვილ ჯგუფში გააერთონა მოტივაციის როლი, ინფორმაციული როლი და გადაწყვეტილების მიღების როლი, აგრეთვე იმის შესახებაც, რომ „ცალკეულმა პიროვნებად შეიძლება გავლენა მოსხინობს ხელმძღვანელის ამა თუ იმ როლის ხასიათზე, მაგრამ არა მის შინაარსზე“.

აქვე უნდა შეგნიშვნოთ, რომ მართვის ფუნქციების, კერძოდ კი „ხელმძღვანელობის“ ფუნქციის მართვის ცალკე ფუნქციად გამოყოფილის ისევე, როგორც დაფტი, რობიზი და კოულტერიც საერთო წარმატების მიღწევაში არ უარყოვეს „მოტივაციის“ უდიდეს მნიშვნელობას. ეს მათ სახელმძღვანელოში განხილული „მოტივაციის“ საკითხების ჩამონათვალიდანაც კარგად ჩანს. კერძოდ, „მენეჯმენტის“ სახელმძღვანელოს 2013 წლის ელექტრონულ კერისაში (თავი 17) რობიზი და კოულტერი დატალურად განიხილავნ მოტივაციის არსებობა და მნიშვნელობას, მოტივაციის ადრინდელ და თანამედროვე თეორიებს, მოტივაციის თანამედროვე აქტუალურ საკითხებს, მაღალნაირი შრომის წამასახლისებების დამუშავებების მნიშვნელობასა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოტივაციის ძირითადად და ეფექტიან საქმიანობას, უპირველესად კი მათი ხელმძღვანელების გამოვლენას<sup>132</sup>.

<sup>131</sup> საინტერესოა გუნდების დაფტისეული კლასიფიკაცია. მისი აზრით, არსებობს ვერტიკალური, პორტონგაზალური, სპეციალიზებული, თვითმმართველობის გუნდების უნივერგებები საკითხების მართვითა და მისი შემთხვევაში მართვის მიზნების განვითარების სახით მიმდინარეობს.

მიიჩნევენ, რომ ხელმძღვანელები, მათი საქმინობის ნებისმიერ ეტაპზე აუცილებელია იუნებდნენ ცოდნას მოტივაციის შესახებ.

უკონომიკურ დიტერატურაში მენეჯმენტში გამოყენებული ცნებების შესახებ განსხვავებული შეფასებები იშევიათი არ არის, ასეა მაგალითად, „მართვისა“ და „ხელმძღვანელობის“ შემთხვევაშიც. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ მენეჯმენტის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერობა დიდი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ „ხელმძღვანელი“ და „მართველი“, „ხელმძღვანელობა“ და „მართვა“, მიუხედავად იმისა, რომ მათ შერის გარკვეული განსხვავებაც არსებობს<sup>132</sup>, ძირითადად, იღენტური ცნებებია. ამასთან, ისინი მართვის დონეების დახასიათებისას „ხელმძღვანელებს“ და „მართველებს“ სინონიმებად განიხილავენ. მაგალითად, მესკონის, ალბერტის, ხელოურისა და სხვების აზრით, „არსებობს ხელმძღვანელების (მმართველების) სამი დონე (როლი): დაბალი, საშუალო და მაღალი. [20, გვ. 41-44 და ა.შ.]. ვესინის აზრით კი „მენეჯმენტი“ ტრანსფორმირებულია ცნებაში „ხელმძღვანელობა“, „მენეჯმენტი“ გაფლისმობს მართვის პროცესს და იმ პირებს, რომლებიც მას ახორციელებენ, ანუ მმართველებს“ [12, გვ. 7-8].

„ხელმძღვანელობისა“ და „მართვის“ ცნებების შესახებას ჩვენც ვეთანხმებით და მიგვაჩნია, რომ ამას აღნიშნულ საკითხზე არც ფაიოლისა და არც მინტერგის მოსაზრებები ეწინააღმდეგება.

სანამ მართვის ძირითად, საბაზო ფუნქციებად „ხელმძღვანელობის“ თუ „მოტივაციის“ შესახებ ჩვენ მოსაზრებას წარმოვადგენთ, შემოგოვაზებოთ რამდენიმე დასკვანას:

- ეფექტიანი ხელმძღვანელობა ეფექტიანი მართვის აუცილებელი პირობაა, იგი მისი საფუძველია, რომლის გარეშე შეუძლებელია ორგანიზაციის მიერ დასახული მიხედვის სრულად რეალიზება;
- ეფექტიანი ხელმძღვანელობა ბევრად არის დამოკიდებული ლიდერის თვისებების მქონე მმართველზე, რომელსაც შეუძლია ორგანიზაციის მისისა და მიზნების კარგად გაცნობიერება და მათი სრულად რეალიზაციისათვის აუცილებელი დონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- მაღალეფებიანი თუ ნაკლებადეუექტიანი ხელმძღვანელობა შესაბამის გავლენას ახდენს მართვის პროცესზე მთლიანად და არა მხოლოდ მისი ცალკეული ფუნქციის შესრულებაზე;
- მართვის ძირითადი, საბაზო ფუნქციების ჩამონათვალი მიზანშეწონილია, იყოს მცირერიცხოვანი (არა უმეტეს 4 ან 5-ისა), რათა არ გაძნელდეს მათი აღქანა.

ყველაზე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მესკონის, ალბერტის, ხელოურისა და სხვების მისაზრებას, რომ „ეფექტიანი ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელია ეფექტიანად შესრულდეს დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის ფუნქციები“ [20, გვ. 463]. მაშასადამე, ეფექტიანი ხელმძღვანელობა არის ეფექტიანი მართვის საერთო საფუძველი, მისი განხორციელების უმნიშვნელოვანესი საშუალება, რომლის წარმატებით გამოყენებაზე მთლიანად არის დამოკიდებული არა მხოლოდ ეფექტიანი მოტივაციის, არამედ, სხვა ძირითადი ფუნქციების (დაგეგმვის, ორგანიზებისა და კონტროლის) განხორციელება. უფრო მეტიც, სხვადასხვა როლის ხელმძღვანელების განსაკუთრებით კი უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელების კარგად კოორდინირებული საქმიანობის გარეშე შეუძლებელია „დაგეგმვის“, მათ შერის „სტრატეგიული დაგეგმვის“ მეტად რთული ფუნქციის ეფექტიანად განხორციელება, ამასთან, საფუძვლიანად გაზრდებული მიზნებისა და დაბალისხებული გარეშე კი აზრს დაკარგავდა როგორც პერსონალის „მოტივაციის“, ასევე „ორგანიზებაცა“ და „კონტროლიც“. იგივე შეიძლება ითქვას „მოტივაციის“ შესახებაც. პერსონალის არასრულფასოვანი მოტივაციის შემთხვევაში საფრთხე შეექმნებოდა თუნდაც ყველმხრივ დასაბუთებული გეგმების და შესაბამისად ორგანიზაციის მიზნების შესრულებას და, შესაძლებელია, მთელი ორგანიზაციის არსებობასაც კი.

რაც შეეხება „ხელმძღვანელ-ლიტერატურაში“, ისინი, ისევე, როგორც „მოტივაციის“ შემთხვევაში, „დაგეგმვის“ ფუნქციის განხორციელების აროცესშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რათა ზედმიწვნით სწორად შეფასებს ორგანიზაციის შიგა და გარე გარემო, მისი ძლიერი და სუსტი მსარევები, შესაძლებლობები და სავრთებები და განისაზღვროს განვითარების მიმართულებები. კევლას კარგად უნდა ასხოვდეს, რომ პერსონალის მოტივაცია არ არის განაირობებული მხოლოდ ეფექტიანი ლიდერების პიროვნული ვერც იაკოვა, ვერც გრიზი და ვერც სხვები მხოლოდ მაღალი ავტორიტეტისა თუ სხვა პიროვნული თვისებების მაქსიმალურად რეალიზებითაც კი ვერ შეძლებდნენ პერსონალის მაღალ დონეზე მოტივირებას. ამისთვის, ზემოაღნიშნულთან ერთად, აუცილებელია ორგანიზაციაში არსებობენ შესაბამისი გარემო პირობები (ეფექტიანი შერმის წახალისების სისტემა და მისი განხორციელების შესაძლებლობები, კარგი სამუშაო გარემო და ა.შ.).

ამრიგად, მართვის ძირითად, საბაზო ფუნქციების „მოტივაციის“ ფუნქციის „ხელმძღვანელობის“ (რობიზზი, კოულტერი) ან „ლიდერობის (ხელმძღვანელობის)“ ფუნქციებით (რ. დაფტი) ჩანაცვლება მიზანშეწონელია და მართვის ფუნქციების – „დაგეგმვის“, „ორგანიზების“, „მოტივაციის“ და „კონტროლის“ სახით ჩამოყალიბების მართებულობა, ჩვენი აზრით, ეჭვა აზრდა იწვევდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ქ., თაკალანქე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2010.
2. მაჟავარიანი შ., მენეჯმენტის საფუძვლები, თეორიები, კონცეფციები და პრაქტიკული მიდგომები. „მეგობრობა“, თბ., 2014.
3. პაიჭაძე ნ., ჩოხატავი ქ., ფარესაშვილი ნ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. „სიტყვა“, თბ., 2011.
4. პაიჭაძე ნ., პერსონალის მართვა. თსუ-ს გამომცემლობა, 2003.
5. ტუღუში მ., ყირიმლიშვილი ნ., მენეჯმენტი. „ინოვაცია“, 2011.

<sup>132</sup>მაგალითად, ორგანიზაციის ხელმძღვანელში (organizational leader) გულისხმობები ადამიანს, რომელიც, იმავდროულად, ლიდერია და ეფექტიანად ხელმძღვანელობს მისი ხელქვეთების საქმიანობას. მაგრამ, ამავე დროს, პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, როცა კვლება და ვერც გრიზი და ვერც სხვები მხოლოდ მაღალი ავტორიტეტისა თუ სხვა პიროვნული თვისებების მაქსიმალურად რეალიზებითაც კი ვერ შეძლებდნენ პერსონალის მაღალ დონეზე მოტივირებას. ამისთვის, ზემოაღნიშნულთან ერთად, აუცილებელია ორგანიზაციაში არსებობენ შესაბამისი გარემო პირობები (ეფექტიანი შერმის წახალისების სისტემა და მისი განხორციელების შესაძლებლობები, კარგი სამუშაო გარემო და ა.შ.).

6. შიხაშვილი გ., რუსიძე კ., პროექტების მენეჯმენტი. „მერიდიანი“, თბ., 2010.
7. შებლაძე გ., მდებრიშვილი ბ., წოწალაური ც., მენეჯმენტის საფუძვლები. „უნივერსალი“, თბ., 2008.
8. შებლაძე გ., მესხია ი., ნანიაშვილი მ., საერთაშორისო მენეჯმენტი. „უნივერსალი“, თბ., 2012.
9. ხარხელი გ., ქეშელაშვილი გ., მენეჯმენტის საფუძვლები. სახელმძღვანელო, „საჩინო“, თბ., 2013.
10. ხომერია თ., მენეჯმენტი. „ინოვაცია“, თბ., 2008.
11. Армстронг М., Практика управления Человеческими ресурсами. 10-е издание, „Питер“, 2012.
12. Веснин В. Р., Управление Персоналом. Терия и практика. Учебник, М., 2008.
13. Десслер Г. Управление персоналом. Пер. С англ., М., 2000.
14. Друкер П., Менеджмент: задачи, овязанности, практика. М., 2008.
15. Друкер П., Задачи менеджмента в XXI веке. М., 2000.
16. Кибанов А. Я., Мамед-заде Г.А., Родкина Т.А., Управление персоналом. М., 2000.
17. Орлов А. И., Менеджмент. М., из-во „Изумруд“, 2003.
18. Ричард Л. Дафт, Менеджмент. Питер, 2008.
19. Стивен Робинз, Мери Коултер. Менеджмент. Москва, Санкт-Петербург-Киев, 2007.
20. Мескон М.Х., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента: пер. С англ. Под ред. Л.И. Евенко. – М., Дело, 2005.
21. Пугачев В. П., Руководство персоналом организации. Учебник, М., 2000.
22. Файоль А., Эмерсон Г., Тейлор Ф., Форд Г., Управление – это наука и искусство. М., „Республика“, 1992.
23. Daft Richard L., New Era of Management. Vanderbilt University, Inc., 2010.
24. Hitt M., Black J., Porter L., Management. Pearson Education, Inc., 2005.
25. St. P.Robbins, Mary Coulter, Management. Twelfth Edition, 2013, ელექტრონული ვერსია.

*Miron Tugushi*

## FOR PROPER UNDERSTANDING OF MANAGING FUNCTIONS

### Annotation

The article emphasizes the different interpretations of the basic managing functions by different authors. It also contains the review of the hypothesis by Henri Fayol, St.P.Robbins, Mary Coulter, Daft Richard together with Georgian scholars opinion.

According to the author, the main basic managing functions are the following: "planning", "organizing", "motivating", "controlling"; he considers unacceptable to replace the "motivating" function with "Leadership" or "Leader" function.

The author thinks that "Leadership" or "Leader" functions are the basis of the effective management and is necessary to implement all basic functions and not only one (even motivation).

## *თუ უდებიანი ეფექტიანობის კვლევა და მისი გამოყენება ეფექტიანობის აუდიტის პროცესში*

ეფექტიანობის აუდიტი აუდიტის იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დამოუკიდებელი კვლევა ორგანიზაციების, სახელმწიფო პროექტებისა და პროგრამების გაონომიურობის, მიზანშეწონილობისა და პროდუქტიულობის დასაღენად. ეფექტიანობის აუდიტის მეშვეობით უნდა იქნეს შესწავლილი შესაძლებელია თუ არა კონკრეტული შედეგის მიღწევა მინიმალური ფინანსური დანახარჯებით და შესაძლებელია თუ არა კონკრეტული ფინანსური სახსრებით უკეთესი შედეგის მიღწევა.

ეფექტიანობის აუდიტის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიზნევა ისეთი მეთოდების შერჩევა და გამოყენება, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება იმის დადგენა, თუ როგორ შეიძლება ეფექტიანობის გაუმჯობესება და არაეფექტიანი ქმედებების თავიდან აცილება. ეფექტიანობის აუდიტის სრულყოფისათვის აუცილებელ პირობად გვევლინება ეფექტიანობის კვლევის პრაქტიკის დანერგვა რიგორუ ორგანიზაციებში ღონისძიებების დაგეგმვის ეტაპზე, ასევე ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების პროცესში. ეფექტიანობის კვლევა არის დაგეგმილი ან განხორციელებული ღონისძიების სისტემატურად მოქმედი და ღორუენებული კვლევა აღიარებული მეთოდების გამოყენებით.

ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების დროს ეფექტიანობის აუდიტორის მიზანი უნდა იყოს იმის შეისწავლა, განხორციელდა თუ არა აუდიტის ობიექტების ხელმძღვანელების მიერ ეფექტიანობის კვლევა და დადებითი პასუხის შემთხვევაში არის თუ არა განხორციელებული ეფექტიანობის კვლევა სამდებო. ამ მიღომაზე დაფუძნებული ეფექტიანობის აუდიტი იქნება იმის გარანტია, რომ აუდიტის შედეგად გაცემული დასკვნა მაქსიმალური მიღებებით ასახვს რეალურ სურათს.

ეფექტიანობის კვლევის ჩატარებისას უნდა მოხდეს შემდეგი ასპექტების განახარიშება:

- ინგენიერის (საინჟინერო გამოყენების) გამოყენების მთლიანი პერიოდის შესაბამისად შედეგის მოქმედების მთლიანი პერიოდის განხილვა (საჭიროებისამებრ დაგეგმვის პროიზონტი);

- პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგების გათვალისწინება (ხარჯების/შედეგები);

- ალტერატივების შედარებისას ფლობის სხვადასხვა მიმართულებების გათვალისწინება და ა.შ

ეფექტიანობის კვლევა აუდიტის ობიექტის შიდა პროცესს წარმოადგენს, რომლის დროსაც მმართველობითმა რგოლმა უნდა ჩაატაროს კვლევა, მმართველობითი ქმედების განხორციელებისათვის რომელი ალტერნატივაა უფრო ეფექტიანი. ეფექტიანობის აუდიტორმა უნდა შეამოწმოს რამდენად მიღწეულია მმართველობის მიერ დასახული მიზანი (შედეგობრიობა) და ქმედება ეფექტიანად განხორციელდა თუ არა.

ეფექტიანობის კვლევას საფუძვლად უნდა დაედოს ეფექტიანობის მირითადი პრიციპი - არსებული რესურსების ყველაზე ოპტიმალური გამოყენება. აღნიშნული პრინციპი ერთნაირად ეხება როგორც მიკრო და